კონსტრუქციული დასკვნა

ქ.თბილისში, ვარკეთილის III მასივში ს/კ 01.19.20.020.083 , 15 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის C ბლოკის მშენებლობისთვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის პროცესში საპროექტო შენობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობებზე ზეგავლენის შესახებ.

შპს "ვარკეთილი დიველოფმენთ" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ჩემს მიერ ექსპერტი კონსტრუქტორი - ნ.ჭკუასელი ა.წ. 25 ივლისს ვიზუალურად შემოწმებული იქნა ადგილზე (სამშენებლო მოედანზე), საპროექტო IV კლასის შენობა მიწის ზევით 14 სართულია, მიწისქვეშა 1 სართულით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დამკვეთი ორგანიზაცია: „ვარკეთილი დიველოფმენთ"- დირექტორი დ.ადამია

მთავარი არქიტექტორი ს.ავალიანი

კონსტრუქტორი ი.კიკნაძე

ექსპერტი-კონსტრუქტორი ნ.ჭკუასელი

პროექტით გათვალისწინებულია კომპლექსის C ბლოკის 14 მიწისზედა სართული - 1 მიწისქვეშა სართულით, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. შენობა გეგმაში მართკუთხედია; საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება განისაზღვრა ობიექტის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. შენობის საძირკვლად მიღებული იქნა ნატენ ბურღვით ხიმინჯოვანი საძირკველი, რომელთაც აერთიანებს ფილა-როსტვერკი; ხიმინჯის D=120მმ-ია, ფილა-როსტვერკის სისქეა 100სმ; ფილა-როსტვერკის ქვეშ ეწყობა 10 სმ-იანი სისქის მჭლე ბეტონის მომზადება და ჰიდროიზოლაცია. ხიმინჯები ეფუძნება ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანს (სგვ. V-ის. პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა), რომელშიც ჩაანკერებულია 3მ-ის სიღრმით. ხიმინჯების მზიდუნარიანობის გაანგარიშება შესრულებულია პროექტის გეოლოგიური ნაწილის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სადაც ძირითადი ქანისთვის სიმტკიცის ზღვარი ერთ ღერძ კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს Rc.n.=100 კგძ/მ^2.

ნაკვეთს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ნაწილობრივ შპს '; ვარკეთილი დიველოფმენთ" -ის საკუთრებაში არსებული მიწა სადაც სამომავლოდ დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა ნაწილობრივ კერძო საკუთრებაში არსებული 1 სართულიანი შენობა ნაგებობა . აღმოსავლეთით ესაზღვრება ისევ „ვარკეთილი დიველოფმენთის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეტები ს/კ: 01.19.20.020.080 და ს/კ: 01.19.20.020.077 - სადაც მიმდინარეობს მშენებლობა . ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება 01.19.20.020.084 მიწის ნაკვეთი სადაც დაგეგმილია გრგ- მიხედვით საბავშვო ბაღის მშენებლობა. დასავლეთით ესაზღვრება - 80-იან წლებში აშემებული მაღალსართულიანი საცხოვრებელი შენობები.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც გრგ-ს მიხედვით წარმოადგენს მშენებლობის მე-3 ეტაპს („ც" ბლოკი). ამჟამად მშენებარე „ბ" ბლოკის მარცხენა განაპირა კედელი და ასაშენებელი „ც" ბლოკის მარჯვენა განაპირა კედელს შორის მანძილი - 30 მ. გავლენის წირი არც ერთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ასევე საფრთხეს არ წარმოადგენს ჩრდილოეთის მხრიდან ერთ სართულიანი შენობა ნაგებობას (დაშორება - 13.39მ ს/კ 01.19.20.020.015), რაც შეეხება გრუნტის წყლის

არსებობას, როგორც საინჟინრო-გეოლოგიური „საექსპერტო შეფასება“ განმარტავს - გრუნტის წყალი არ არის აგრესიული რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ; ამასთანავე ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებით ფილა-როსტვერკის ძირის 0.5მ-ით წყლის ჩამოდინების ზევით აწევის გადაწყვეტა საფრთხის საშიშროებას მოაშორებდა.

დანარჩენი მხრიდან ასაშენებელი ობიექტისთვის ტერიტორია თავისუფალია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო-ტექნიკური დასკვნა.

ადგილზე არსებული სიტუაციური მდგომარეობიდან გამომდინარე , ქვაბულის დამუშავებისას ქვაბულის კედლებს შესაძლებელია მიეცეს ე.წ „ბუნებრივი,, დახრა თანდართული ფაილის სქემატური ნახაზის შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტები ქვაბულისა და ზოგადად შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში .

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო -გეოლოგიური კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე , ასევე შენობის გეგმარებითი პარამეტრებიდან და შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა , რომ ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მდგრადობის თვალსაზრისით მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი ექსპლუატაციის პირობებშიც.

დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის მშენებლობის პროექტს კონსტრუქციულ ნაწილში.

ექსპერტი-საქართველოს დამსახურებული მშენებელი

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჭკუასელი


ქვაბულის გეგმა
4615450
490200
35
A3
1:300
03.06.2016
rev 001


ჭრილი 1-1
ჭრილი 2-2